



საქართველოს  
სახალხო დამცველი  
PUBLIC DEFENDER  
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 04-2/4299

21/04/2022

4299-04-2-2-202204211800



თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს

სარჩელთან დაკავშირებით

სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება

წარმოდგენილია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული  
კანონის მუ-12 მუხლისა და 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ბატონო დავით,

ატმოსფერული პარის დაბინძურება როგორც მსოფლიოს, ასევე საქართველოს წინაშე  
მდგარი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა, რომელიც უარყოფითად აისახება  
ცოცხალი ორგანიზმების ჯანმრთელობაზე, ეკოსისტემასა და კლიმატზე, შედეგად კი,  
უმწვავესად ზემოქმედებს როგორც საზოგადოების თითოეულ წევრზე, ისე ქვეყნის  
ეკონომიკაზე.<sup>1</sup>

ბოლო პერიოდის განმავლობაში, საქართველოს სახალხო დამცველი აქტიურად ადევნებს  
თვალს ატმოსფერული პარის დაბინძურების კუთხით არსებულ გამოწვევებს და 2017

<sup>1</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში – „უფლება სუფთა პარიზე (ატმოსფერული პარის ხარისხი საქართველოში)“, გვ. 4, გვ. 13-17, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3LLup0u>> [12.04.2022].

წლიდან, საკუთარ მიგნებებს საპარლამენტო ანგარიშებში ასახავს.<sup>2</sup> გარდა ამისა, საკითხის აქტუალურობიდან და კომპლექსურობიდან გამომდინარე, ატმოსფერული ჰაერის დაცვის მდგომარეობა ვრცლად შეფასდა სახალხო დამცველის 2019 წლის სპეციალურ ანგარიშში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“.<sup>3</sup> სხვა საკითხებთან ერთად, აპარატის შესწავლის საგანს წარმოადგენს სამრეწველო ემისიების შემცირების მიზნით, სახელმწიფოს მხრიდან გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა.

2022 წლის 17 თებერვალს, საქართველოს სახალხო დამცველის №2062/22 განცხადებით მომართა სამინისტრო მოძრაობის „გავიგუდეთ“ ხელმძღვანელმა, და აპარატის მოწოდა ინფორმაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წინააღმდეგ წარმოებული სასამართლო დავის შესახებ. მის ფარგლებში, მოსარჩელეები, ქალაქ რუსთავში არსებული ქარხნებიდან მომდინარე ჰაერის დაბინძურების პრევენციისთვის ქმედითი ზომების გაუტარებლობის გამო, ზიანის ანაზღაურებას ითხოვენ.

გამომდინარე იქიდან, რომ წინამდებარე სარჩელთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება პრეცედენტული მნიშვნელობისაა ქვეყანაში ჯანმრთელობისთვის უწესებლ გარემოში ცხოვრების უფლების რეალიზებისთვის სათანადო სტანდარტის დაგენის კუთხით, საქართველოს სახალხო დამცველმა მიიღო გადაწყვეტილება, განსახილველ საქმეში სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) მოსაზრება წარადგინოს.

სასამართლოს მეგობრის ფუნქციის შესრულება სახალხო დამცველს საშუალებას აძლევს, სასამართლოს მიაწოდოს ადამიანის უფლებებთან უშუალოდ დაკავშირებული ფაქტობრივი და ნორმატიული სახის ინფორმაცია, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესაძლო დარღვევის ფაქტების გამოვლენისა და დარღვეული უფლებების აღდგენის ხელშეწყობის პროცესში. წინამდებარე სასამართლოს მეგობრის მოსაზრების მიზანს წარმოადგენს ჯანმრთელობისთვის უწესებლ გარემოში ცხოვრების და კერძოდ, სუფთა ჰაერზე უფლების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების კუთხით არსებული ვითარების და ჯანმრთელობაზე მისი ზემოქმედების შედეგების, ასევე უფლების სრულფასოვანი რეალიზებისთვის პრეცედენტული სამართლით დადგენილი სტანდარტების ანალიზის გზით, გამოკვეთოს ის ძირითადი ასექტები, რაც სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადო შეფასებაში დაეხმარება.

## 1. ფაქტობრივი გარემოებები:

2022 წლის 31 იანვარს,

<sup>2</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 207-209; საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 170-172; საქართველოს სახალხო დამცველის 2019 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 256-259; საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 262-265; საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 205-207. საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშში ზელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/31LafBk>> [12.04.2022].

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/31LafBk>> [12.04.2022].

წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქაუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის წინააღმდეგ. სარჩელით მოთხოვნილია, მოპასუხეებს დაკვისროთ უმოქმედობით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

მოსარჩელეები მიუთითებენ, რომ რუსთავეში არსებული საწარმოებიდან მომდინარე თვალხილული ემისიების გამო, მათ ყოველდღიურად უწევთ დისკომფორტში ცხოვრება, ხშირად ერიდებიან ქალაქში გადაადგილებას და საცხოვრებელ სახლებში ფანჯრების გაღებას, რაც, მათივე განმარტებით, განიავების ნაცვლად, სივრცეს კიდევ უფრო აბინძურებს. ამავდროულად, მოსარჩელეები აღწერენ მათ ჯანმრთელობაზე ჰაერის დაბინძურების ეფექტებს, როგორებიცაა: ჰაერის ჩასუნთქვის დროს გამოწვეული სპაზმი, ალერგიული რეაქციები, სუნთქვის გაძნელება, შფოთვა, მაღალი არტერიული წნევა, სისხლში ჟანგბადის ნაკლებობა, გულთან დაკავშირებული პრობლემები, ნერვული აშლილობა, რომელიც დაკავშირებულია ჰაერის დაბინძურებასთან; თავის ტკივილი, ყელის წვა, ალერგიული რინიტი, მოდუნება, ცხვირ-ხახის სიმშრალე, ცხვირისა და ყელის ტკიფილი. აგრეთვე ხაზგასმულია, რომ ჰაერის დაბინძურება ხელისშემშლელი ფაქტორია ოჯახის დაგვამვაშიც, რამდენადაც ის ნეგატიურად ზემოქმედებს ბავშვებზე და ორსულებზე. ამ მიზეზით, მოსარჩელეები დამატებით ხაზს უსვამენ, რომ თავს იკავებენ ბავშვების სუფთა ჰაერზე გაშვებისა და მათთვის სპორტული აქტივობით დაკავების შესაძლებლობის მინიჭებისგან. გარდა ამისა, განმარტავენ, რომ ჰაერის ხარისხის გამო, თავადაც ერიდებიან საჯარო სივრცეში ვარჯიშს ან სპორტით დაკავებას. საუბარია აგრეთვე ახალი კორონავირუსით გამოწვეული ინფექციის მიმდინარეობის ჰაერის დაბინძურებიდან გამომდინარე გართულების რისკებზეც.

მოსარჩელეები აღნიშნავენ, რომ ჰაერის ცუდი ხარისხი საზიანოა მათი მენტალური ჯანმრთელობისთვისაც. წარმოდგენილი სარჩელის თანახმად, ფსიქიატრის მიერ გაცემული ცნობების საფუძველზე, იკვეთება დაბინძურების ზემოქმედებით გამოწვეული სხვადასხვა სახის პრობლემა, კერძოდ: ემოციური დაძაბულობა, სტრესი, შფოთვა, გუნება-განწყობის მცირე დაქვეითება, დარღი საკუთარი და ოჯახის წევრების ამჟამინდელ და სამომავლო ჯანმრთელობაზე; ჰაერის დაბინძურების ხარისხის მუდმივი მონიტორინგისა და ხშირად დაფიქსირებული ნეგატიური მაჩვენებლებით გამოწვეული განსაკუთრებული დისტრესი; ცალკეულ შემთხვევაში, მოსარჩელეზე ეკოლოგიური მდგომარეობის გავლენით, აღინიშნა ყურადღების კონცენტრაციის დაქვეითება და მსუბუქი დეპრესიული ეპიზოდი; ასევე, ცალკეულ შემთხვევაში, ძილისა და ადაპტაციის დარღვევები.

## 2. სამართლებრივი დასაბუთება

### 2.1. სამართლებრივი ჩარჩო

ადამიანის ძირითადი უფლება - ცხოვრობდეს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში - რეგლამენტირებულია საქართველოს კონსტიტუციით.<sup>4</sup> მსგავსი ეკოლოგიური უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივ სივრცეში მოქცევა განპირობებულია გარემო პირობების მზარდი დევგრადაციით და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის სფეროში სახელმწიფოს ანგარიშვალდებულებისთვის, გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოებრივი მონაწილეობისა და სხვა გარემოსდაცვითი მექანიზმების გამართული, ეფექტური მუშაობისა და კოორდინაციისთვის.<sup>5</sup> ამასთან, ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრობის უფლების დადგენით, საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს კონსტიტუციურ ღირებულებათა წესრიგში მდგარი ეკოლოგიური განვითარების განსაკუთრებულ მნიშვნელობას.<sup>6</sup> აქევე, აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია არა მხოლოდ უზრუნველყოფს გარემოსთვის ზიანის მიყენების თავიდან არიდებას რეალურ დროში, არამედ ითვალისწინებს მომავალი თაობების ინტერესების დაცვის საჭიროებას<sup>7</sup> და ადგენს, რომ ბუნებათსარგებლობა უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ისე, რომ ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ქვეყნის განვითარების პარალელურად დაბალანსდეს ეკოლოგიური ინტერესები, რათა შენარჩუნდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო,<sup>8</sup> რაც თავისთავად თითოეული ადამიანის სიცოცხლის უფლებასაც უკავშირდება.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლება სახელმწიფოს კიოსრებს ორი ტიპის ვალდებულებას: 1. აქტიური ქმედებების ფარგლებში, ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და სხვა სახის პროექტებისა თუ სხვა ღონისძიებების განხორციელებისას, გაითვალისწინოს და მაქსიმალურად შეამციროს გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება (წევატიური ვალდებულება); და 2. დაიცვას გარემო კერძო პირების და ზიანებისგან (პოზიტიური ვალდებულება).<sup>9</sup>

ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება მრავალი კომპონენტისგან შედგება, თუმცა წინამდებარე დოკუმენტში განხილულია მხოლოდ უფლება სუფთა ჰაერზე, მითითებული უფლების დაცვის მიზნით, ქვეყანაში მოქმედებს ორი ძირითადი სამართლებრივი დოკუმენტი - საქართველოს კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ და საქართველოს კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, ასევე მათგან მომდინარე ნორმატიული აქტები.

„გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი უფრო ზოგადი შინაარსისა და არეგულირებს როგორც ატმოსფერული ჰაერის, ისე წყლის, მიწის, წიაღისა და ბიომრავალფეროვნების დაცვის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და აღწარმოების, ნარჩენების რეგულირების, ქიმიური უსაფრთხოების, ზირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროებთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხს. მათ შორის, ხსენებული დოკუმენტი გაწერს გარემოს დაცვის უმნიშვნელოვანების ძირითად პრინციპებს, რომლებიც უზრუნველყოფს სახელმწიფო ორგანოების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების დროს იმგვარი ზომების მიღებას, რომლებიც

<sup>4</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, ნაწილი 1.

<sup>5</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი გამიერილაძე საქართველოს პარლამენტის წინამდებარება“; II, პარ.2

<sup>6</sup> იქნება.

<sup>7</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 29, ნაწილი 2.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილება, II, პარ.3.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 10 აპრილის №2/1/524 გადაწყვეტილება, II, პარ.6.

ემსახურება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე ზემოქმედების რისკების, ხილმრავალფეროვნების შეუძლებადი დეგრადაციის მაქსიმალურად თავიდან აცილებას, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის შეუძლებადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისგან და სხვ.<sup>10</sup>

უშუალოდ ატმოსფერული ჰაერის დაცვა მავნე ანთროპოგენური ზემოქმედებისგან „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროს განვითარება. ასეთი ზემოქმედება განმარტებულია, როგორც ატმოსფერულ ჰაერზე ადამიანის საქმიანობით გამოწვეული ნებისმიერი ზემოქმედება, რომელიც ახდენს ან რომელმაც შეიძლება მოახდინოს უარყოფითი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და ბუნებრივ გარემოზე.<sup>11</sup> მისი ერთ-ერთი სახეა ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება.<sup>12</sup>

აღნიშნულის გათვალისწინებით, „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურებისგან დაცვის სისტემას და მის ქვეშ მოიაზრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ადმინისტრაციული, სამეცნიერო, ტექნოლოგიური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და საზოგადოებრივი ღონისძიებების განხორციელება ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსათვის უსაფრთხო მდგომარეობის მისაღწევად, შესანარჩუნებლად და გასაუმჯობესებლად.<sup>13</sup> შედეგად, კანონი ქმნის ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციის ზღვრულად დასაშეგინოებრივი ნორმების დადგენის, ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგის ორგანიზებისა და ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების რეგულირების სამართლებრივ საფუძველს.<sup>14</sup>

ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურების რეგულირება მოიცავს დაბინძურების სახეებისა და დაბინძურების წყაროების კლასიფიცირებასა და აღრიცხვას, დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შეზღუდვის და სხვა მოთხოვნებს, რომლებიც მიზნად ისახავს ატმოსფერული ჰაერის ადამიანის ჯანმრთელობისა და ბუნებრივი გარემოსთვის უსაფრთხო მდგომარეობის მიღწევას, შენარჩუნებას და გაუმჯობესებას.<sup>15</sup> ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყარო არის კაპიტალურად, უძრავად დამონტაჟებული დანადგარი ან შენობა-ნაგებობა, რომელიც აღჭურვილია სპეციალური გასაფრქვევი მოწყობილობით ან რომელსაც, ტექნოლოგიური პროცესის თავისებურებებიდან გამომდინარე, არ გააჩნია სპეციალური გასაფრქვევი მოწყობილობა.<sup>16</sup> შესაბამისად, ასეთი წყაროები, ძირითადად, დაკავშირებულია მრეწველობისა და ენერგეტიკის სექტორებთან. მათგან მომდინარე ემისიების შეზღუდვის წესი დადგენილია ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის IX თავით, ხოლო

<sup>10</sup> „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 5.

<sup>11</sup> „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 11, ნაწილი 1.

<sup>12</sup> „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“, საქართველოს კანონი, მუხლი 11, ნაწილი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>13</sup> „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 16, ნაწილი 1.

<sup>14</sup> „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 16, ნაწილი 2.

<sup>15</sup> „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 22.

<sup>16</sup> „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24, ნაწილი 2.

შესაბამის სამართალდარღვევებსა და პასუხისმგებლობის საპასუხო ზომებს გაწერს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.<sup>17</sup>

საგულისხმოა, რომ სამრეწველო სექტორი საქართველოში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ერთ-ერთი უმთავრესი წყაროა.<sup>18</sup> შესაბამისად, წინგადადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს სამრეწველო ობიექტების მიერ ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში მოქმედი ცალკეული სამართალდარღვევის ჩადენისთვის ჯარიმების ზრდა<sup>19</sup> და მსხვილი საწარმოებისთვის გაფრქვევის უწყვეტი ავტომატური თვითმონიტორინგის სისტემის დაწერგვის ვალდებულების დაწესება გასულ წელს.<sup>20</sup> გარდა ამისა, მნიშვნელოვანი სიახლეა, რომ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, კრიტიკულ შემთხვევებში, ობიექტების საქმიანობის მთლიანად ან ნაწილობრივ შეზღუდვის შესაძლებლობა მიენიჭა.<sup>21</sup> ცვლილებებამდე, დეპარტამენტს რეგულირების ობიექტის საქმიანობის დროებით შეჩერების შესაძლებლობა ჰქონდა, რა შემთხვევაშიც, სასამართლოსთვის მიმართვა და მის წინაშე მიღებული გადაწყვეტილების აუცილებლობის დასაბუთება ევალებოდა.

ატმოსფერული ჰაერის დაცვის კუთხით ქვეყნის სტრატეგიას ადგენს აგრეთვე ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მის წევრ სახელმწიფოებს შორის. თანამშრომლობის ერთ-ერთი ამოცანაა გარემოს ხარისხის შენარჩუნება, დაცვა, გაუმჯობესება და რეაბილიტაცია, ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება და საერთაშორისო დონეზე მაღისხმევის ხელშეწყობა, გარემოს დაცვის რეგიონულ ან გლობალურ პრობლემებთან გასამკლავებლად ჰაერის ხარისხისა და სხვა სფეროებში.<sup>22</sup> დასახელებული მიზნის მისაღწევად, დოკუმენტი გაწერს ევროკავშირის რელევანტური დირექტივებიდან მომდინარე ვალდებულებებს და განსაზღვრავს კონკრეტულ ვადებს მათ შესასრულებლად.

ერთ-ერთ მსგავს დირექტივას წარმოადგენს 2010 წლის 24 ნოემბრის ევროპარლამენტისა და საბჭოს 2010/75/EU დირექტივა სამრეწველო ემისიების შესახებ.<sup>23</sup> დირექტივა, მათ შორის, განსაზღვრავს ისეთ უმნიშვნელოვანებს საკითხებს, როგორებიცაა საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნიკის დასკვნების გამოყენების ვალდებულება სახებართვო პირობების განსაზღვრისას, ასევე ინტეგრირებული სანებართვო სისტემისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნა.<sup>24</sup> აღნიშნულ

<sup>17</sup> მაგ. იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 76<sup>1-ე</sup> და 77<sup>-ე</sup> მუხლები.

<sup>18</sup> საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2022 წლის 23 თებერვლის №1748/01 წერილი; მთლიან დაბინძურებაში მრეწველობის წილის შესახებ (ცალკეული დამაბინძურებლების მიხედვით) ინფორმაციის მისაღებად, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)”, გვ. 25-26.

<sup>19</sup> საქართველოს 2021 წლის 2 მარტის №249-IVმს-Хმ3 კანონი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ.

<sup>20</sup> საქართველოს 2021 წლის 2 მარტის №246-IVმს-Хმ3 კანონი „ატმოსფერული ჰაერის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>21</sup> საქართველოს 2021 წლის 2 მარტის №245-IVმს-Хმ3 კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.

<sup>22</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოს და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, მუხლი 302, ნაწილი 1.

<sup>23</sup> დირექტივა ხელმისაწვდომია ვეზაკერდზე: <<https://bit.ly/3KclqPi>> [12.04.2022].

<sup>24</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“, გვ. 9-10.

დირექტივაზე დაყრდნობით, საქართველოს სახალხო დამცველი, წლებია, მიუთითებს, რომ სამრეწველო სექტორიდან მომდინარე დაბინძურების შესამცირებლად და მათი კონტროლის ეფექტულ სტანდარტებზე გადასასვლელად, აუცილებელია „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონის პროექტის ინიცირება საქართველოს პარლამენტში, რაც თავდაპირველად 2019 წელს იყო დაგემილი, თუმცა დღემდე არ განხორციელებულა.<sup>25</sup> შესაბამისად, მიუხედავად 2021 წელს განხორციელებული ზემოხსენებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, ქვეყნაში არსებული სამართლებრივი ჩარჩო ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში, კვლავ არ არის სრულად მისადაგებული საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებთან.<sup>26</sup> თავის მხრივ, დასახელებული კანონმდებლობის მიღება და მისი დებულებების დროული შესრულება უმთავრესი ბერკეტია სამრეწველო ობიექტებიდან მომდინარე ემისიების შესამცირებლად, რაც არაერთი მუნიციპალიტეტის წინაშე წლების განმავლობაში მდგარ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. ამ საკანონმდებლო ხარვეზზე ყურადღება გამახვილა აგრეთვე საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ისტორიაში პირველი თემატური მოკვლევის ფარგლებში, რომელიც თბილისში ჰაერის მდგომარეობას შეეხებოდა.<sup>27</sup>

ბიზნესის მხრიდან ადამიანის უფლებების, მათ შორის, ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლების დარღვევების თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის პასუხისმგებლობას სახელმწიფოს აკისრებს აგრეთვე გაეროს ადამიანის უფლებათა სატჭოს მიერ 2011 წლის 16 ივნისს ერთხმად მხარდაჭერილი გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ.<sup>28</sup> ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემა ასახულია ასევე გაეროს წევრი ქვეყნების მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს შეთანხმებულ მდგრადი განვითარების დღის წესრიგში,<sup>29</sup> რომლით გათვალისწინებული მიზნების შესრულება, სხვა თემებთან ერთად, გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული თანამედროვე გამოწვევების დაძლევას ემსახურება,<sup>30</sup> კერძოდ, 2030 წლამდე ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირება წარმოადგენს ინდიკატორს<sup>31</sup> ყველა ადამიანის ჯანმრთელი ცხოვრებისა და

<sup>25</sup> საქართველოს სახალხო დამცველის 2021 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 206-207.

<sup>26</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მარივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატმოსფერი ენერგიის გართიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, თავი 3, მუხლი 302; დანართი XXVI, ჰაერის ხარისხი.

<sup>27</sup> საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თემატური მოკვლევის ანგარიში, თბილისში ჰაერის მდგომარეობის შესახებ, თემატური მოკვლევა #ECI-19/01, გვ. 27, პარ. 86, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3KjYt2Q>> [12.04.2022].

<sup>28</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს მიერ 2011 წლის 16 ივნისის №17/4 რეზოლუციით მხარდაჭერილი სახელმძღვანელო პრინციპები ბიზნესისა და ადამიანის უფლებების შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3LKFAX4>> [12.04.2022]; დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. საქართველოს 2017 წლის ეროვნული საბაზისო კვლევა ბიზნესის და ადამიანის უფლებების შესახებ, გვ. 3-5, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3aqQ1lB>> [12.04.2022].

<sup>29</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 2015 წლის 25 სექტემბერის A/RES/70/1 რეზოლუციით დამტკიცებული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტი, სახელწოდებით, „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის“, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://undocs.org/A/RES/70/1>> [12.04.2022].

<sup>30</sup> დამატებითი ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“, გვ. 11-12.

<sup>31</sup> გაეროს გენერალური ასამბლეის 2017 წლის 6 ივნისის რეზოლუციით (A/RES/71/313) დამტკიცებული გლობალური ინდიკატორების ჩარჩო მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მიზნებისა და

კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად (მიზანი 3);<sup>32</sup> ხოლო ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარების (მიზანი 11) ინდიკატორად განსაზღვრულია ქალაქში უმცირესი მტვრის ნაწილაკების კონცენტრაციის შემცირება;<sup>33</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ გარემოს დეგრადაცია ახლანდებლი და მომავალი თაობების მხრიდან ადამიანის უფლებების, მათ შორის, სიცოცხლის უფლების რეალიზების შესაძლებლობისთვის ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს, გასულ წელს, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია,<sup>34</sup> რომლითაც პირველად აღიარა, რომ სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოში ცხოვრება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა.<sup>35</sup> რეზოლუციის მიზანია, უფრო მეტად კოორდინირებულად და ეფექტურად შეუწყოს ხელი გარემოს გაუმჯობესებისკენ მიმართული ამბიციური ქმედებების განხორციელებას.

## 2.2. არსებული მდგომარეობა

საქართველოში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ბოლო პერიოდში გატარებული და დაგეგმილი არაერთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მიუხედავად, ჰაერის დაბინძურება ჯერ კიდევ ერთ-ერთ სერიოზულ გამოწვევად რჩება;<sup>36</sup> თავის მხრივ, ეს უმიმდევსად ზემოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე და წარმოადგენს ინსულტის, გულ-სისხლძარღვთა, რესპირატორული და სხვა სახის დაავადებების გამომწვევ მიზეზს.<sup>37</sup>

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ცნობით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ საქართველოსთვის მოწოდებული გათვლების შესაბამისად, მოსახლეობის ჯანმრთელობაზე შენობისმიდა და შენობისგარე ჰაერის დაბინძურებასთან ასოცირებულმა გაერთიანებულმა მავნე ზემოქმედებამ, 2016 წელს, განაპირობა 6845 სიკვდილის შემთხვევა.<sup>38</sup> აღსანიშნავია, რომ ჰაერის დაბინძურებასთან ასოცირებული გულ-სისხლძარღვთა, რესპირატორული დაავადებები და სიმსივნეები საქართველოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, ხოლო არაგადამდები დაავადებები კვლავ რჩება სიკვდილიანობის უმთავრეს მიზეზად.<sup>39</sup> საყურადღებოა ისიც, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშის თანახმად, იმ დაავადებათა მკურნალობაზე, რომელთაც იწვევს

ამოცანებისთვის, მიზანი 16, ამოცანა 16.10, ინდიკატორი 16.10.1 ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://undocs.org/A/RES/71/313>> [12.04.2022].

<sup>32</sup> ინდიკატორი 3.9.1.

<sup>33</sup> ინდიკატორი 11.6.2.

<sup>34</sup> გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს 2021 წლის 8 ოქტომბრის 48/13 რეზოლუცია სუფთა, ჯანსაღ და მდგრად გარემოზე უფლების შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3x5sHH>> [12.04.2022].

<sup>35</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://news.un.org/en/story/2021/10/1103082>> [12.04.2022].

<sup>36</sup> საქართველოს სახალხო დაცველის 2020 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 262-265; საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 205-207.

<sup>37</sup> დეტალური ინფორმაციისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)”, გვ. 14-15.

<sup>38</sup> სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კროვნული ცენტრის 2018 წლის 9 ოქტომბრის №06/4216; ჩატლილი მონაცემებისთვის, იხ. საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)”, გვ. 15.

<sup>39</sup> იქც.

ცალკეული დამაბინძურებლები ( $\text{NO}_2$ ,  $\text{SO}_2$ ,  $\text{CO}$ ,  $\text{O}_3$  და  $\text{PM}$ ), 2016 წელს, სახელმიწოდებლის ბიუჯეტიდან გაწეულია 120,050,566 ლარის ხარჯი.<sup>40</sup>

საქართველოს თითქმის სრული მასშტაბით, პრობლემურ დამაბინძურებლებს წარმოადგენს მტვრის მცირე ზომის მყარი ნაწილაკები (PM) და აზოტის დიოქსიდი ( $\text{NO}_2$ ),<sup>41</sup> რომელთა გაფრქვევის წყაროც, მათ შორის, მრეწველობის სექტორია.<sup>42</sup> ჰაერში აღნიშნული ნივთიერებების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ზემოქმედებს სიკვდილიანობისა თუ ავადობის მაჩვენებელზე,<sup>43</sup> თუმცა მყარი ნაწილაკები, სხვა ძირითად დამაბინძურებლებთან შედარებით, განსაკუთრებით მავნებელია ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მტვრის მყარი ნაწილაკები შედგება ჰაერში მოხვედრილი ორგანული და არაორგანული ნივთიერებების მყარი და თხევადი ნაწილაკების რთული ნარევისგან, ხოლო მათი მთავარი კომპონენტებია სულფატები, ნიტრატები, ამიაკი, ნატრიუმის ქლორიდი, შავი ნახშირბადი, მინერალური მტვერი და წყალი.<sup>44</sup> მათი დიფერენციაცია ხდება ფრაქციებად, ზომის შესაბამისად -  $\text{PM}_{10}$  (ნაწილაკები, რომელთა აეროდინამიკური დიამეტრი არის 10 მკმ ან ნაკლები) და  $\text{PM}_{2.5}$  (ნაწილაკები, რომელთა აეროდინამიკური დიამეტრი არის 2,5 მკმ ან ნაკლები). სწორედ ეს უკანასკნელი მიიჩნევიან ყველაზე საშიშად, რამდენადაც შესწევთ უნარი, შეაღწიონ ბრონქიოლების პერიფერიულ უბნებში და შეაფერხონ ჰაერცვლა.<sup>45</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოში დღემდე სათანადოდ არ რეგულირდება დაბინძურება სამრეწველო სექტორიდან, რაც არაერთი მუნიციპალიტეტის წინაშე წლების განმავლობაში ძლიერ გადაუჭრელ პრობლემად რჩება. მათ შორის, მრეწველობის სექტორიდან ატმოსფერული ჰაერის მყარი ნაწილაკებით (PM) დაბინძურება ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა ქალაქ რუსთავში.<sup>46</sup>

კერძოდ, რუსთავში დაფიქსირებულია მყარი ნივთიერებების გაფრქვევის 50 წყარო (აქედან 47 მცელ, ხოლო 3 ახალ რუსთავში), რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა წარმოადგენს მეტალურგიულ, ქიმიურ, მინერალურ და სხვა სახის სამრეწველო იმიუქტს; აღნიშნულ ობიექტთა მიერ გაფრქვეულმა მყარმა ნივთიერებებმა (დიდწილად მტვრის ნაწილაკებმა), 2019 წელს, 14 ათას ტონაზე მეტი შეადგინა.<sup>47</sup> გარემოს ეროვნული საგენტოს მიერ 2020 წელს გამოქვეყნებული მონაცემების შესაბამისად, 2019 წელს, რუსთავში,  $\text{PM}_{10}$ -ის საშუალო

<sup>40</sup> სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2018 წლის 31 იანვრის თანილისის მასშტაბით ავტოტრანსპორტის გამონაბოლებით გამოწვეული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, გვ. 24, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3xiQdny>> [12.04.2022].

<sup>41</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო გეგმა 2020-2022, გვ. 3. ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://mepa.gov.ge/Ce/PublicInformation/27987>> [12.04.2022].

<sup>42</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://air.gov.ge/pages/13/13>> [12.04.2022]; იხ. აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)”, გვ. 13.

<sup>43</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://air.gov.ge/pages/13/13>> [12.04.2022]; იხ. აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)”, გვ. 14-15.

<sup>44</sup> ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO), ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება: დაავადებათა ტვირთისა და ექსპოზიციის გლობალური შეფასება, 2016, გვ. 19, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3Q5qItY>> [12.04.2022].

<sup>45</sup> სსპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2018 წლის 9 ოქტომბრის №06/4216.

<sup>46</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო გეგმა 2020-2022, გვ. 9.

<sup>47</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამუშაო გეგმა 2020-2022, გვ. 9.

წლიური კონცენტრაცია ზღვრულად დასაშვებ ნორმას 1.6-ჯერ აღემატებოდა, ხოლო PM<sub>2.5</sub>-ის - 1.3-ჯერ.<sup>48</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პარატმა საერთო მტვრის მინიშვნელოვანი გადაჭარბების შემთხვევები რუსთავში აღრიცხა აგრეთვე 2017-2018 წლებში.<sup>49</sup>

არსებული მძიმე ვითარება კარგად არის ილუსტრირებული 2020-2022 წლების რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმაში, რომელიც საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის №2059 განკარგულებით დამტკიცდა. გეგმამ ძირითად გამოწვევებად დაასახელა: სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების შეუსრულებლობა, არასრულყოფილი ჰაერდაცვითი კანონმდებლობა, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის თვითმომნიტორინგის მოძველებული სისტემა, სახელმწიფო ზედამხედველობისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა და სხვ.<sup>50</sup> ამავე დოკუმენტმა არაერთი ქმედითი ღონისძიების გატარება გაითვალისწინა სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის საპასუხოდ როგორც ადგილობრივ დონეზე, ისე ქვეყნის მასშტაბით.

ზემოხსენებული სამოქმედო გეგმის 2021 წლის მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, „ქ. რუსთავში, საბაზისო დონესთან შედარებით, 2021 წელს, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ხარისხობრივი მდგომარეობა უცვლელია. უმცირესი მყარი ნაწილაკები (PM<sub>10</sub>, PM<sub>2.5</sub>) წლიურ ზღვრულად დასაშვებ ნორმას კვლავაც დაახლოებით 60%-ით აღემატება, რაც დიდწილად გამოწვეულია დაწესებული საკანონმდებლო რეგულაციების არასათანადოდ შესრულებით“.<sup>51</sup> იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც სამოქმედო გეგმაში უშუალოდ მიმართულია ქალაქში ჰაერის დაბინძურების შემცირებაზე, ანგარიშში აღინიშნა, რომ მდგომარეობა მცირედით გაუმჯობესდა. კერძოდ, სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მყარი ნივთიერებების მასა დაახლოებით 9%-ით შემცირდა (სამოქმედო გეგმის ამოცანის მისაღწევად, საჭიროა 2020 წლისთვის ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებების მასა კიდევ შემცირდეს დაახლოებით 10 900 ტონით), რაც ცალკეული სამრეწველო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი მოთხოვნების უკეთ აღსრულებითა და აირმტვერდამქერი სისტემების გამართვით აიხსნა.<sup>52</sup> ამასთან, ანგარიშში, ქ. რუსთავში ჰაერის დაბინძურების პრობლემების მოგვარებისთვის, მთავარ გამოწვევად კვლავ მიეთითა მსხვილი საწარმოო ობიექტების მიერ ჰაერდაცვითი კანონმდებლობისა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების პირობების არასათანადო შესრულება და უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმომნიტორინგის ვალდებულების შეუსრულებლობა.<sup>53</sup>

<sup>48</sup> საქართველოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წელიწდეული, გარემოს ეროვნული სააგენტოს გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის 2019 წლის მონაცემები, თბილისი 2020 წლი, გვ. 26, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3xjMjyQ>> [12.04.2022].

<sup>49</sup> საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“, გვ. 24.

<sup>50</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022, გვ. 11.

<sup>51</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის (2020-2022) 2021 წლის მონიტორინგის ანგარიში, გვ. 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://mepa.gov.ge/Ce/Reports>> [12.04.2022].

<sup>52</sup> იქნ.

<sup>53</sup> იქნ. გვ. 3.

საგულისხმოა, რომ მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, 2021 წელს, ქ. რუსთავში განხორციელდა 44 რეგულირების ობიექტის 76 ინსპექტირება, რომლის შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრისთვის 9 ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობა და განესაზღვრა კონკრეტული გამოსასწორებელი ღონისძიებები შესაბამისი ვადებით.<sup>54</sup> ამასთან, 2020-2022 წლების რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, 2019 წელს, გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესრულების მიზნით, ჩატარდა ქ. რუსთავში არსებული 8 მსხვილი სამრეწველო ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგადაც გამოვლენილ იქნა არაერთი კრიტიკული დარღვევა.<sup>55</sup>

### 2.3. პრეცედენტული სამართლო

რეგიონულ და ეროვნულ სასამართლოებს განსაკუთრებული როლი აქვთ გარემოსდაცვითი სამართლებრივი ჩარჩოს თუ პოლიტიკის განვითარების მიმართულებით. ისინი ქმნიან შესაბამისი სამართალწარმოების ერთგვარ ფორუმს, რომლის ფარგლებშიც, განიხილება როგორც არსებული ნორმატიული აქტების ხარისხი, აგრეთვე უფლების დაცვის უკეთესი გარანტიების დანერგვის საჭიროება. რამდენადაც ამგვარი პრაქტიკა მსოფლიოს მასშტაბით უკვე კარგად ადაპტირებულ მიდგომად იქცა, წინამდებარე დოკუმენტში წარმოგიდგნენ ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლების სრულფასოვანი რეალიზებისთვის პრეცედენტული სამართლით დადგენილ სტანდარტებს.

#### 2.3.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა და მირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია არ შეიცავს პირდაპირ ჩანაწერს ჯანსაღ გარემოზე უფლებასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამ უფლებას კონვენციის სხვადასხვა შუსტის მოქმედების სფეროში აქცევს. აღნიშნულს განაპირობებს ის გარემოება, რომ გარემოს დაბინძურება და მასთან ასოცირებული რისკები ადამიანის უფლებების რეალიზებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. შესაბამისად, სასამართლო მსგავს საქმეებს, მათ შორის, კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მუხლების ფარგლებში განიხილავს.

#### მე-2 და მე-8 მუხლების გამოყენება

სიცოცხლის უფლების დაცვისგან მომდინარე პოზიტიური ვალდებულება, სახელმწიფომ შეიმუშავოს ამ უფლების დარღვევის საფრთხეების თავიდან აცილებისთვის საჭირო ეფექტურიანი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო *a fortiori* ისეთ ინდუსტრიულ საქმიანობაზე ვრცელდება, რომელიც თავისი ბუნებით საფრთხის შემცველია.<sup>56</sup> საწარმოდან მომდინარე ტოქსიკურ ემისიებს სასამართლო სწორედ მსგავს საქმიანობებს

<sup>54</sup> იქვე, გვ. 13.

<sup>55</sup> ქ. რუსთავის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა 2020-2022, გვ. 10.

<sup>56</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Öneryildiz v. Turkey*, პარ. 89; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Brincat and Others v. Malta*, პარ. 101.

შორის მოიაზრებს.<sup>57</sup> საგულისხმოა, რომ კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) მუხლებიდან მომდინარე ვალდებულებები ურთიერთმფარავია და შესაბამისად, სასამართლოს მიერ განვითარებული პრინციპები ისეთ გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე ზომიერდებენ, შესაძლოა, სიცოცხლის დაცვის უფლებას დაეფუძნოს.<sup>58</sup>

ხსენებული მუხლების საფუძველზე, საშიშ საქმიანობასთან დაკავშირებით, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება, მიიღოს შესაბამისი რეგულაციები საქმიანობების სპეციფიკური მახასიათებლებისა და, განსაკუთრებით, შესაძლო რისკების დონის გათვალისწინებით. მათი სამუალებით უნდა იმართებოდეს ლიცენზიების გაცემა, მოწყობა, ფუნქციონირება, უსაფრთხოება და საქმიანობის ზედამხედველობა და სავალდებულო უნდა იყოს ყველა შესაბამისი სუბიექტისთვის, რათა პრაქტიკული ზომები იქნეს მიღებული იმ პირთა ეფექტიანი დაცვისთვის, რომლებიც, შესაძლოა, რისკების გამო, საფრთხის ქვეშ იყვნენ.<sup>59</sup>

სასამართლო არ განსაზღვრავს, კონკრეტულად რა ზომები უნდა გატარდეს კონვენციით გარანტირებული უფლებების უზრუნველსაყოფად და აღნიშნულს სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებში აქცევს. თუმცა, სასამართლო აფასებს, მოეკიდა თუ არა ხელისუფლება პრობლემას სათანადო გულისხმიერებით და გაითვალისწინა თუ არა ყველა მხარის ინტერესი<sup>60</sup> სასამართლოს პრაქტიკით, მსგავსი ვალდებულების შესრულების დადასტურება თავად სახელმწიფოს ეკისრება რელევანტური მტკიცებულებების, დეტალური კვლევების ან სხვა სათანადო დოკუმენტებისა თუ მონაცემების წარმოდგენის გზით.<sup>61</sup> საყურადღებოა ისიც, რომ სახელმწიფოს მხრიდან დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად არ კმარა მხოლოდ სათანადო რეგულაციების არსებობა, არამედ აუცილებელია, ხდებოდეს მათი აღსრულება.<sup>62</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, მე-2 მუხლის გამოყენება ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც სახეზეა ფატალური შედეგი და მაშინაც, როდესაც მსგავსი შედეგის დადგომის „სერიოზული“ ან „რეალური და მყისიერი“ საფრთხე ან პირთა ფიზიკური ხელშეუხებლობის ხელყოფის მომენტული რისკი არსებობს.<sup>63</sup>

<sup>57</sup> ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გზამკვლევი, გარემო, 31 აგვისტო 2021, გვ. 7, პარ. 2, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3DR6FoA>> [12.04.2022].

<sup>58</sup> იქვე გვ. 10, პარ. 16.

<sup>59</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „აუდელია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 75; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Brincat and Others v. Malta, პარ. 101; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე Kolyadenko and Others v. Russia, პარ. 158; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე Di Sarno and Others v. Italy, პარ. 106.

<sup>60</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „აუდელია და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 76.

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Oneryildiz v. Turkey, პარ. 97.

<sup>63</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე Brincat and Others v. Malta, პარ. 82; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Budayeva and Others v. Russia, პარ. 146-160; ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული

როდესაც ზემოხსენებული საფრთხის არსებობა არ დასტურდება, საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მე-8 მუხლის ფარგლებში.<sup>64</sup> თავის მხრივ, იმისთვის, რომ საკითხი მოექცეს აღნიშნული მუხლის ქვეშ, გარემოს დაბინძურების უარყოფითმა ზემოქმედებაშ უნდა მიაღწიოს გარკვეულ მინიმალურ ზღვარს.<sup>65</sup> ამ მინიმალური ზღვრის შეფასება შედარებითა და დამოკიდებულია საქმის ყველა გარემოებაზე, როგორებიცაა უსიამოვნო ფაქტორების ინტენსივობა და ხანგრძლივობა და მისი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ეფექტი; მხედველობაში მიიღება აგრეთვე გარემოს ზოგადი მდგომარეობა.<sup>66</sup> სასამართლოს შეფასებით, მე-8 მუხლის ფარგლებში საჩივარი არ განიხილება, თუ სადაც ზიანი თანამედროვე ქალაქებში ცხოვრებასთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით საფრთხეებთან შედარებით უმნიშვნელოა.<sup>67</sup> ამის საწინააღმდეგოდ, გარემოს სერიოზულმა დაბინძურებაშ შესაძლოა აგნოს ადამიანების კეთილდღეობას და არ მისცეს მათ საშუალება, ისარგებლონ საკუთარი საცხოვრებლით იმდენად, რომ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს მათ პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე - მათი ჯანმრთელობისთვის სერიოზული ზიანის მიყენების გარეშე.<sup>68</sup>

სწორედ ზემოხსენებული პრინციპების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე ჯულიო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელშიც სადაც საკითხს წარმოადგენდა, თუ რამდენად უზრუნველყო სახელმწიფომ მომჩივანთა დაცვა მათი საცხოვრებელი კორპუსის მახლობლად მდგრად თბოლელექტროსადგურიდან გამოწვეული ჰაერის დაბინძურებისგან.

აღნიშნული საქმეში სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ელექტროსადგურს და კორპუსს მორის დამცავი ზონის, აგრეთვე ელექტროსადგურის საკვამურში ფილტრების ან სხვა გამწმენდი მოწყობილობის არასებობა, რომელიც განკუთვნილია ჰაერში გამოყოფილი საშიში ნივთიერებების შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესამცირებლად, რეალურ საფრთხეს უქმნიდა მეზობელ ტერიტორიაზე ცხოვრებ მოსახლეობას. გარდა ამისა, ხაზი გაესვა, რომ ელექტროსადგურის მიერ გამოყოფილი სხვადასხვა ნივთიერების კონცენტრირებული ტოქსიკურობა ორჯერ აღემატებოდა ნორმას. სასამართლომ ასევე მიუთითა რამდენიმე მოსარჩელის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გაკეთებულ უქსპერტიზის დაკვნაზე, რომლის თანახმად, მათ აღნიშნებოდათ დიდწილად მსგავსი ჯანმრთელობის მდგომარეობა, როგორიცაა ნევრასტენია და ასთენიური სინდრომი, რაც, შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო მავნე ფაქტორების ხანგრძლივი და კომბინირებული ზემოქმედებით.

სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გზამევლები, გარემო, 31 აგვისტო 2021, გვ. 8, პარ. 4.

<sup>64</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე *Brincat and Others v. Malta*, პარ. 85.

<sup>65</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1994 წლის 9 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *López Ostra v. Spain*, პარ. 51; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Dzemyuk v. Ukraine*, პარ. 77; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჯულიო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 62.

<sup>66</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 4 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე *Dzemyuk v. Ukraine*, პარ. 78.

<sup>67</sup> ოუკ იხ. აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 14 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე *Hardy and Maile v. the United Kingdom*, პარ. 188.

<sup>68</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „ჯულიო და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 62.

დამატებით, გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა, რომ იმის დაშვების შემთხვევაშიც კი, რომ ჰაერის დაბინძურებას მომზივნების ჯანმრთელობისთვის მნიშვნელოვანი ზიანი არ მოუყენებია, დაბინძურებამ ისინი უფრო მგრძნობიარე გახადა სხვადასხვა დაავადების მიმართ და უარყოფითი ზემოქმედება იქონია მათი ცხოვრების ხარისხზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგინდა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას.<sup>69</sup>

სასამართლომ ზემოხსენებულ საქმეში უფლებადარღვევა დაადგინა ორი მთავარი ფაქტორის გამო. პირველ რიგში, აღინიშნა ელექტროსადგურის საშიშ საქმიანობასთან მიმართებით მარჯულირებელი ჩარჩოს ფაქტობრივი არარსებობა და შედეგად მიღებული ჰაერის დაბინძურების საკითხის მოუკვარებლობა. ამ თვალსაზრისით, ყურადღება გამახვილდა იმ გარემოებაზე, რომ მთავრობას სასამართლოსთვის არ წარუდგენია გარემოზე ზემოქმედების რაიმე რელევანტური კვლევა ან ინფორმაციული დოკუმენტი ელექტროსადგურისა და მისგან გამომდინარე ჰაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ, რომელიც, მოცემულ პერიოდში, გავლენას ახდენდა მომჩივნებზე. მეორე არგუმენტს წარმოადგენდა ხელისუფლების მხრიდან ეფექტური ზომების გაუტარებლობა იმის ფონზე, რომ მათთვის უდავოდ ცნობილი იყო არსებული პრიბლების შესახებ. ამ კუთხით, არასაკმარისად იქნა მიჩნეული ელექტროსადგურისთვის შესაბამისი ფილტრებისა და გამწმენდი მოწყობილობის დამოწაუების დავალება, რამდენადაც აღნიშნული ინსტრუქციის მეთვალყურეობის მიზნით, არანაირი ქმედითი ღონისმიება არ გატარებულა. შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსაზიდველ საქმეში საქართველომ ვერ მოახერხა სამართლიანი ბალანსის დაცვა საზოგადოების ინტერესებს, რომ ჰქონოდათ გამართულ მდგომარეობაში მყოფი თბოლექტროსადგური, და მომჩივანთა მიერ საკუთარი საცხოვრებელითა და პირადი ცხოვრების უფლებით სარგებლობას შორის.<sup>70</sup>

საქმეში *Fadeyeva v. Russia*, სადაც სასამართლომ ასევე დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა, მოსარჩევე დავობდა მის საცხოვრებელ სახლთან ახლომდებარე ფოლადის ქარხნიდან მომდინარე დაბინძურების გამო ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებას. სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ქარხნიდან გაფრქვეული მავნე ნივთიერებების კონცენტრაცია მნიშვნელოვნად აღემატებოდა დასაშვებ ნორმას და შესაბამისად, აკუმულირებული დაბინძურება პოტენციურად საფრთხის შემცველი იყო მიმდებარე ტერიტორიის მაცხოვრებელი პირების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის. სასამართლომ აგრეთვე განმარტა, რომ არაპირდაპირი მტკიცებულებების და პრეზუმიციების ერთობლიობა ქმნიდა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება სწორედ ემისიების ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგს წარმოადგენდა. მსგავსი მსჯელობა განვითარდა იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელეს არ წარუდგენია სამედიცინო მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა პირდაპირ კავშირს მის დაავადებასა და ჰაერის დაბინძურებას შორის. სასამართლოს მითითებით, იმ შემთხვევაშიც, თუ დაბინძურება არ გამოიწვევდა ხელშესახებ ზიანს მოსარჩელის ჯანმრთელობისთვის, ამ გარემოებამ გარდაუვლად გახადა იგი სხვადასხვა

<sup>69</sup> ადამიანის უფლებათა ეკროპული სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილება საქმეზე „აუღილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“, პარ. 65-72.

<sup>70</sup> იქვე, პარ. 73-38.

დაავალების მიმართ მოწყვლადი და მოახდინა უარყოფითი გავლენა მისი ცხოვრების ხარისხზე.<sup>71</sup>

შედეგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს არ შეუმუშავებია და გაუტარებია ეფექტური ღონისძიებები ემისიების მისაღებ დონემდე შესამცირებლად იმის ფონზე, რომ ქარხნის საქმიანობა არ შეესაბამებოდა გარემოსდაცვით სტანდარტებს. ამ თვალსაზრისით, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ მიუხედავად ბოლო 10-20 წელიწადში დამაბინძურებლების გაფრქვევის შესამცირებლად მიღწეული პროგრესისა, გარემოსდაცვითი მდგომარეობის საერთო გაუმჯობესება ძალიან ნელი იყო.<sup>72</sup>

### 2.3.2. ეროვნული სასამართლოები

გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები მსოფლიოს მასშტაბით, ყოველწლიურად იზრდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ამ მიმართულებით, სახელმწიფოთა პოლიტიკის განვითარებაზე. წინამდებარე ქვეთავში წარმოგიდენთ ეროვნულ დონეზე მიღებულ რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას,<sup>73</sup> რომელიც სასამართლოს ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრების უფლებისგან მომდინარე პოზიტიური ვალდებულებების განმარტებაში დახმარება:

2022 წლის მარტში, სამხრეთ აფრიკის სასამართლომ დაადასტურა, რომ ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება არღვევს მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებას ჯანსაღ გარემოზე და ნეგატიურად ზემოქმედებს მათს ჯანმრთელობაზე. გადაწყვეტილებაში ხაზი გაესვა ხელისუფლების ვალდებულებას, აღესრულებინა ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა დაბინძურებულ ტერიტორიაზე და აღინიშნა ის გარემოება, რომ მსგავსი გეგმის იმპლემენტაცია გაუმართლებელი მიზნებით უერთდებოდა. შესაბამისად, ხელისუფლებას დაეკისრა, გადაწყვეტილების მიღებიდან 12 თვის განმავლობაში, მოამზადოს, დააინიციროს და გაწეროს რეგულაციები შესაბამისი ჰაერის ხარისხის მართვის გეგმის ამოქმედებისთვის. ამგვარი რეგულაციების მომზადების მიზნით, სასამართლოს მითითებით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, მათ შორის, ატმოსფერული გაფრქვევების მონიტორინგისა და ემისიების შესახებ ანგარიშების სისტემების გაუმჯობესების, ასევე მტკრის ემისიის კონტროლის უფრო მკაცრი ღონისძიებების დაწერგვის საჭიროება.<sup>74</sup>

2021 წელს, ხელისუფლების მხრიდან სუფთა ჰაერზე უფლების უზრუნველყოფის ვალდებულების დარღვევა დაადგინა ინდონეზიის სასამართლომაც, რომლის მითითებითაც, მოპასუხეებმა, კანისმდებლობის საწინააღმდეგოდ, ვერ შეძლეს დედაქალაქ ჯაკარტაში ჰაერის დაბინძურების პრობლემის გადაჭრა. გადაწყვეტილებით,

<sup>71</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე *Fadeyeva v. Russia*, პარ. 79-88.

<sup>72</sup> იქვე, პარ. 124-134.

<sup>73</sup> წინამდებარე ქვეთავში წარმოდგენილი მაგალითების გარდა, დამატებითი პრეცედენტების შესახებ ინფორმაციისთვის, იხ. გარემოსა და ადამიანის უფლებების საკითხზე გაეროს სპეციალური მომხსენებლის, დევიდ ბოიდის სასამართლოს მეცომის მოსაზრება ჯაკარტას ჰაერის დაბინძურების საქმესთან დაკავშირებით, გვ. 11-16, ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3vfPGZj>> [12.04.2022].

<sup>74</sup> გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/36ZKnFw>> [12.04.2022]; გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3KmGkw>>, <<https://bit.ly/3IDRL8wj>> [12.04.2022].

შესაბამის თანამდებობის პირებს, სხვა ზომებთან ერთად, ჰაერის ხარისხის ეროვნული სტანდარტების დადგენა და ჰაერის დაბინძურების კონტროლის სტრატეგიის შემუშავება დაევალათ.<sup>75</sup>

2019 წელს, არაერთმა ფრანგულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლებითაც ხელისუფლების ქმედებები ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების მიმართულებით არაეფექტურად შეაფასა. აღნიშნულის მიზეზს წარმოადგენდა სხვადასხვა რეგიონში მტვრის მცირე ზომის მყარი ნაწილაკებისა (PM) და სხვა დამაბინძურებლების კონცენტრაციების ხშირი გადაჭარბება მიუხედავად შესაბამისი ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმების არსებობისა.<sup>76</sup> 2021 წელს კი, ხელისუფლებას საფრანგეთის სხვადასხვა ზონაში ატმოსფერული ჰაერის გაუმჯობესების მიზნით ქმედითი ზომების გაუტარებლობის გამო, 10 მლნ ევროს ოდენობის ჯარიმა დაეკისრა.<sup>77</sup>

2015 წლის აპრილში, ხელისუფლებას ჰაერის გადაჭარბებული დაბინძურების საპასუხოდ მყისიერი ქმედებების განხორციელება დავალა ბრიტანეთის უზენაესმა სასამართლომ. კერძოდ, მთავრობას ჰაერის ხარისხის ახალი გეგმის წარდგენა დაეკისრა 2015 წლის ბოლომდე.<sup>78</sup> საგულისხმოა, რომ 2020 წელს, ბრიტანეთში ასევე მიიღეს მსოფლიოს მასშტაბით უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, ადამიანის გარდაცვალების მიზუად ჰაერის დაბინძურება განისაზღვრა.<sup>79</sup> კერძოდ, 9 წლის გოგონას ასთმის შეტევით გარდაცვალება გამოიწვია ჰაერში აზოტის დიოქსიდისა (NO<sub>2</sub>) და მტვრის მცირე ზომის მყარი ნაწილაკების (PM) გადაჭარბებულმა კონცენტრაციამ, რომლებიც მნიშვნელოვან დამაბინძურებლებს შორისაა საქართველოშიც.<sup>80</sup>

### 3. დახვეწის

ამდენად, წინამდებარე საქმის გადაწყვეტის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეფასება მისცეს ქალაქ რუსთავში არსებული ჰაერის დაბინძურების გავლენას არა მხოლოდ მოხარჩელეთა ჯანმრთელობაზე, არამედ მათი ცხოვრების ხარისხზე, რაც განმცხადებლების უფლებებში ჩარჩოს ფაქტის დადგენის წინაპირობაა. გარდა ამისა, აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს, თუ რამდენად სათანადოდ ახდენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებას არსებული საკანონმდებლო ჩარჩო და რამდენად უფექტურად ხდება მოქმედი რეგულაციების აღსრულების უზრუნველყოფა. მათ შორის, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს სამრეწველო ემისიების შემცირებასთან დაკავშირებით ევროკავშირის რელევანტური დირექტივიდან მომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და რუსთავის

<sup>75</sup> გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://reut.rs/351GgKz>>, <<https://cnn.it/3ixchjo>> [08.04.2022].

<sup>76</sup> ინფორმაცია გადაწყვეტილებების შესახებ ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3NZi5LZ>>, <<https://bit.ly/38vSPff>>, <<https://bit.ly/372ELkw>> [12.08.2022].

<sup>77</sup> გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3ks5D4Y>> [12.04.2022].

<sup>78</sup> გადაწყვეტილება ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/3v3x92v>> [12.04.2022]; გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებგვერდზე: <<https://bit.ly/37ygR9L>>, <<https://bhc.in/3v0PcX6>> [12.04.2022].

<sup>79</sup> ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3u8stXN>>, <<https://bhc.in/3awVvVa>> [12.04.2022].

<sup>80</sup> საქართველოს სახალხო დამვილის 2019 წლის სპეციალური ანგარიში - „უფლება სუფთა ჰაერზე (ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საქართველოში)“, თბილისი, 2019, 13; დამაბინძურებლების შესახებ, დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <[https://air.gov.ge/pages/13\\_13](https://air.gov.ge/pages/13_13)> [12.04.2022].

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ხარისხი; ასევე, გამოიკვლიოს, მიმართავს თუ არა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი რუსთავში არსებული საწარმოების სანქცირებას ან მათი საქმიანობის შეზღუდვას სათანადო სიზშირით და წარმოადგენს თუ არა ასეთი ზომები, მათი სიმძიმის გათვალისწინებით, ჰაერის უკეთესი ხარისხის დამკვიდრების მიზნის მიღწევისთვის გამოსადეგ საშუალებას.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

